სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება №01-02/173

ბსუ-ს დოქტორანტს, სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) და ბსუ-ს შორის გასაფორმებელი **სამმხრივი შეთანხმების ფორმის** დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის დებულების** (მათ შორის №6 დანართი - **სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (**დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით; ვებგვერდზე გამოქვეყნებული - 30.08.2024 წ.), „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო **პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილების, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №6 გადაწყვეტილების, **„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების** დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №129 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს დოქტორანტს, სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) და ბსუ-ს შორის გასაფორმებელი **სამმხრივი შეთანხმების** ფორმა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად სამმხრივი შეთანხმების შედგენა და მისი გაფორმების ორგანიზება, სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) დამტკიცებიდან **არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში** და გაფორმების შედეგის შესახებ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს დოქტორანტს, სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) და ბსუ-ს შორის გასაფორმებელი სამმხრივი შეთანხმების ფორმის დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის №01-02/173 ბრძანების

№1 დანართი

შეთანხმება

ქ. ბათუმი "____"_____" 20_ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი" ან **,,ბსუ"),** წარმოდგენილი რექტორის ---------- მიერ,

მეორე მხრივ ბსუ-ს **სადოქტორო** საგანმანათლებლო **პროგრამის -** _____ _____ _____ (შემდეგში - **,,პროგრამა")** სტუდენტი (,,**დოქტორანტი**") _____

მესამე მხრივ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი _____ (შემდგომში **,,ხელმძღვანელი")**/სამეცნიერო თანახელმძღვანელი _____ (შემდგომში ,,**თანა**ხელმძღვანელი")

ვდებთ წინამდებარე **სამმხრივ შეთანხმებას** შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

1.1. შეთანხმების საგანია **უნივერსიტეტს, დოქტორანტს და** დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) **შორის** ურთიერთობის რეგულაცია, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და ამ შეთანხმების შესაბამისად.

1.2. სამმხრივი შეთანხმების პირობები ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.

1.3. ბსუ-ს, დოქტორანტს და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შორის გაფორმებული სამმხრივი შეთანხმება განიხილება ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. უნივერსიტეტის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;

2.2. დოქტორანტის **სამეცნიერო ხელმძღვანელი** ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად წარმართავს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების პროცესს.

2.3. სამეცნიერო ხელმძღვანელი **ვალდებულია:**

ა) ინდივიდუალური საჭიროებებისა და დოქტორანტის სადისერტაციო თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულარულად გაუწიოს დოქტორანტს კონსულტაციები კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე (კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება);

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ითანამშრომლოს მასთან, დოქტორანტის ხელმძღვანელობის ორგანიზებულად წარმართვისა და სადოქტორო ნაშრომის შესრულების ხელშეწყობისათვის;

გ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული აქტივობები, მათ შორის წარადგინოს სადოქტორო (სადისერტაციო) ნაშრომის შესახებ გათვალისწინებული დასკვნები.

2.4. დოქტორანტის **სამეცნიერო თანახელმძღვანელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

3.1. შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს გადაეცემა ერთი ეგზემპლარი.

3.2. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ერთი მხარე - „უნივერსიტეტი"	**მეორე მხარე - „დოქტორანტი"**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	პირადი № _
	ფაქტობრივი მისამართი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
	რეგისტრაციის მისამართი ----------
	მობილ.ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
----------	ელ. ფოსტა_ _
(რექტორის სახელი, გვარი)	----------

(რექტორის ხელმოწერა)	(სტუდენტის ხელმოწერა)

მესამე მხარე - სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი	
„სამეცნიერო ხელმძღვანელი"	**„სამეცნიერო თანა**ხელმძღვანელი"
სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _	სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
პირადი № _	პირადი № _
ფაქტობრივი მისამართი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _	ფაქტობრივი მისამართი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
რეგისტრაციის მისამართი ----------	რეგისტრაციის მისამართი ----------
მობილ.ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _	მობილ.ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ელ. ფოსტა_ _	ელ. ფოსტა_ _
----------	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)